

„დამტკიცებულია“

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის

2022 წლის 19 აგვისტოს №03-19 ბრძანებით

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა შესარჩევი სპორტული ტურის დებულება

მუხლი 1. სპორტული ტურის დებულების რეგულირების სფერო

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა შესარჩევი სპორტული ტურის (შემდგომში სპორტული ტურის დებულება) ჩატარების წესს, პირობებსა და ორგანიზების საკითხებს.
2. ამ დებულების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 71/6 ბრძანება „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ.“
3. წინამდებარე დებულების მოქმედება ვრცელდება კოლეჯის სპორტული მიმართულების პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტებზე.

მუხლი 2. კოლეჯის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა/რეგისტრაცია და ჩარიცხვა

1. კოლეჯში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრებით, ან/და სპორტული ტურის შედეგებით.
2. კოლეჯის სპორტულ ტურზე რეგისტრაციისა და ჩატარების თარიღები (სპორტული მიმართულების პროგრამებზე) განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით
3. სპორტული მიმართულების პროგრამებისთვის კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სპორტული ტურის ჩატარებაზე პასუხისმგებელ კომისიას და განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს.
4. სპორტული ტური გულისხმობს, შეირჩეს ის აპლიკანტები, რომლებსაც ერთი მხრივ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და მეორეს მხრივ აქვთ მოტივაცია და სურვილი მოახდინონ ცოდნის განვითარება/გაღრმავება.

5. გასაუბრებისა და/ან სპორტული ტურის ეტაპების წარმატებით გავლის შემთხვევაში აპლიკანტები ჩაირიცხებიან სასურველ პროგრამებზე.
6. სპორტულ ტურზე პასუხისმგებელი კომისია ვალდებულია სპორტული ტურის შედეგების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს კოლეჯის დირექტორს სპორტული ტურის ჩატარებიდან 2 სამუშაო დღეში.
7. სპორტული ტურის შედეგები ქვეყნდება ტურის დამთავრებიდან არაუგვიანეს 3 დღეში კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
8. სპორტული ტური მოიცავს გამოცდას:
 - ა) საერთო ფიზიკურ მომზადებაში
 - ბ) არჩეულ სპორტის სახეობაში (სპეციალიზაცია)
9. სპორტულ ტურზე რეგისტრაციისათვის აპლიკანტმა კოლეჯში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 100)
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
 - სპორტულ ტურის საფასურის გადახდის დამადასტურებელი 50 (ორმოცდაათი) ლარიანი ქვითარი.
10. სარეგისტრაციოდ განაცხადისა და დოკუმენტაციის სრული პაკეტის წარდგენის შემდეგ პირზე გაიცემა საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელიც ადასტურებს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სპორტულ ტურში. ბარათში მითითებულია სპორტულ ტურის ჩატარების მისამართი და თარიღი. ბარათის გადაცემის ფაქტი დასტურდება პირის ხელმოწერით.

მუხლი 3. სპორტული ტურის შეფასების სისტემა - საერთო ფიზიკურ მომზადებაში

1. სპორტული ტური საერთო ფიზიკურ მომზადებაში ფასდება 75 ქულიანი სისტემით; მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა
2. სპორტული ტური საერთო ფიზიკურ მომზადებაში შედგება შემდეგი ნორმატივებისაგან:

ვაჟები:

- რბენა 500 მ-ზე - მაქსიმალური 25 ქულა
- ადგილიდან სიგრძეზე ხტომა - მაქსიმალური 25 ქულა
- ღერძზე მიზიდვა - მაქსიმალური 25 ქულა

გოგნები:

- რბენა 100 მ-ზე - მაქსიმალური 25 ქულა
- ადგილიდან სიგრძეზე ხტომა - მაქსიმალური 25 ქულა
- მკლავების მოხრა-გაშლა ტანვარჯიშულ სკამზე - მაქსიმალური 25 ქულა

3. საერთო ფიზიკურ მომზადებაში შედეგები და ქულები იხილეთ **დანართები 1 და 2;**

მუხლი 4. სპორტული ტურის შეფასების სისტემა - სპორტის სახეობებში

1. სპორტული ტური არჩეულ სპორტის სახეობაში ფასდება 30 ქულიანი სისტემით; ბარდება 3-3 ნორმატივი; მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 12 ქულა
2. სპორტული ტური არჩეული სპორტის სახეობაში შედგება შემდეგი ნორმატივებისაგან:

კრივი

კრივის ტომარაზე დარტემები 15 წამის განმავლობაში - მაქსიმალური 10 ქულა

კრივის ტომარაზე დარტემები 2 წუთის განმავლობაში - მაქსიმალური 10 ქულა

ხტომები სახტუნაოთი 1 წუთის განმავლობაში - მაქსიმალური 10 ქულა

დარტემები 15 წმ.		დარტემები 2 წთ.		ხტუნაობა 1წთ. (რაოდენობა)	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
50 ჯერ	10 ქულა	240 ჯერ	10 ქულა	140 ჯერ	10 ქულა
49 ჯერ	9 ქულა	235 ჯერ	9 ქულა	138 ჯერ	9 ქულა
48 ჯერ	8 ქულა	230 ჯერ	8 ქულა	136 ჯერ	8 ქულა
47 ჯერ	7 ქულა	225 ჯერ	7 ქულა	134ჯერ	7 ქულა
46 ჯერ	6 ქულა	220 ჯერ	6 ქულა	132ჯერ	6 ქულა
45 ჯერ	5 ქულა	215 ჯერ	5 ქულა	130 ჯერ	5 ქულა
44 ჯერ	4 ქულა	210ჯერ	4 ქულა	128ჯერ	4 ქულა
43 ჯერ	3 ქულა	200 ჯერ	3ქულა	126 ჯერ	3 ქულა
40 ჯერ	2 ქულა	195 ჯერ	2ქულა	124ჯერ	2 ქულა
35 ჯერ	1 ქულა	190 ჯერ	1ქულა	122 ჯერ	1 ჯულა

ცურვა

ცურვა თავისუფალი სტილით 50 მეტრზე- მაქსიმალური 10 ქულა

ცურვა ზურგზე 50 მეტრზე - მაქსიმალური 10 ქულა

ცურვა კომპლექსური 100 მეტრზე - ფასდება შესრულების ტექნიკა - მაქსიმალური 10 ქულა

ცურვა - 50 მეტრზე							
მამაკაცები - 18-29 წელი				ქალები 18-29 წელი			
თავის სტილით		ზურგზე კროლი		თავის სტილით		ზურგზე კროლი	
დრო	ქულა	დრო	ქულა	დრო	ქულა	დრო	ქულა
33.5	10	35.0	10	35.0	10	36.0	10
35.0	9	36.0	9	36.0	9	37.5	9
36.0	8	37.5	8	37.0	8	39.0	8
37.0	7	39.0	7	38.0	7	40.5	7
38.0	6	40.5	6	39.0	6	42.5	6
39.0	5	42.5	5	41.0	5	44.0	5
41.0	4	45.0	4	42.5	4	45.5	4
მამაკაცები 30-39 წელი				ქალები 30-39 წელი			
თავის სტილით		ზურგზე კროლი		თავის სტილით		ზურგზე კროლი	
დრო	ქულა	დრო	ქულა	დრო	ქულა	დრო	ქულა
35.0	10	36.5	10	36.0	10	37.5	10
36.0	9	37.5	9	37.5	9	39.0	9
37.5	8	39.0	8	38.5	8	40.5	8
38.5	7	40.5	7	40.0	7	42.0	7
40.0	6	42.0	6	42.0	6	43.5	6

42.0	5	43.5	5	43.5	5	46.5	5
43.5	4	46.5	4	45.0	4	48.0	4
მამაკაცები 40-55 წელი				ქალები 40-55 წელი			
თავის სტილით		ზურგზე კროლი		თავის სტილით		ზურგზე კროლი	
დრო	ქულა	დრო	ქულა	დრო	ქულა	დრო	ქულა
35.5	10	37.5	10	37.0	10	38.0	10
36.5	9	38.0	9	38.0	9	39.0	9
38.0	8	39.0	8	39.5	8	40.5	8
40.0	7	40.5	7	41.5	7	42.0	7
42.5	6	42.0	6	43.0	6	45.0	6
45.0	5	45.0	5	45.5	5	49.0	5
დროის ფიქსირების გარეშე შესრულება - 4 ქულა							
კომპლექსური ცურვა 100 მ. თითოეული სტილის ტექნიკის შეფასებით დროის ფიქსირების გარეშე							

ფეხბურთი

ბურთზე დარტყმა სიშორეზე და სიზუსტეზე 5 მეტრიან დერეფანში (მეტრებში)

ბურთის ტარება 30 მეტრზე დგარების შემოვლით (5 დგარი) წამებში.

ჟონგლირება ორი ფეხით (აკენწვლა)

ბურთის დარტყმა		ბურთის ტარება 30მ.		ჟონგლირება ორი ფეხით	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
46 მ.	10 ქულა	5.0 წმ.	10 ქულა	30 ჯერ	10 ქულა
44 მ.	9 ქულა	5.1 წმ.	9 ქულა	28 ჯერ	9 ქულა
42 მ.	8 ქულა	5.2 წმ.	8 ქულა	26 ჯერ	8 ქულა
40 მ.	7 ქულა	5.3 წმ.	7 ქულა	24 ჯერ	7 ქულა
38 მ.	6 ქულა	5.4 წმ.	6 ქულა	22 ჯერ	6 ქულა
36 მ.	5 ქულა	5.5 წმ.	5 ქულა	20 ჯერ	5 ქულა
34 მ.	4 ქულა	5.6 წმ.	4 ქულა	18 ჯერ	4 ქულა
32 მ.	3 ქულა	5.7 წმ.	3 ქულა	16 ჯერ	3 ქულა

30 მ.	2 ქულა	5.8 წმ.	2 ქულა	15 ჯერ	2 ქულა
28 მ.	1 ქულა	5.9 წმ.	1 ქულა	14 ჯერ	1 ქულა

სპორტული აკრობატიკა

ტანვარჯიშულ კედელზე მუხლების მოხრა, წინშვერი, დაშვება - მაქსიმალური 10 ქულა

ტანვარჯიშულ კედელზე ცერების შეხება ზედა მალაზე - მაქსიმალური 10 ქულა
ხელყირა ყოვნა 3წმ, წინკოტრიალი -მაქსიმალური 10 ქულა

ტან. კედელზე მუხლების მოხრა,წინშვერი, დაშვება					
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შესრულება	ქულა
10	10 ქულა	10	10 ქულა	შეუდარებელი	10 ქულა
9	9 ქულა	9	9 ქულა	საუკეთესო	9 ქულა
8	8 ქულა	8	8 ქულა	ძალიან კარგი	8 ქულა
7	7 ქულა	7	7 ქულა	კარგი	7 ქულა
6	6 ქულა	6	6 ქულა	დამაკმაყოფ.	6 ქულა
5	5 ქულა	5	5 ქულა	სუსტი	5 ქულა
4	4 ქულა	4	4 ქულა	ძალიან სუსტი	4 ქულა
3	3 ქულა	3	3 ქულა	-	
2	2 ქულა	2	2 ქულა	-	
1	1 ქულა	1	1 ქულა	-	

მუხლი 5. სპორტული ტურის პროცედურები

1. აპლიკანტი ვალდებულია სპორტულ ტურზე გამოცხადდეს მითითებულ მისამართზე 30 წუთით ადრე.
2. აპლიკანტი უნდა იყოს სპორტულ ფორმაში, და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სპორტული ტურის საიდენტიფიკაციო ბარათი;
3. კონკურსის დაწყებამდე მიმღები კომისიის თავმჯდომარე მოკლედ გააცნობს აპლიკანტებს სპორტული ტურის ჩატარებისა და მუშაობის წესებს, მათ უფლება-მოვალეობებს;
4. სპორტული ტურის მიმდინარეობას მოემსახურება სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

მუხლი 6. კომისიის უფლება -მოვალეობები

1. კომისიის წევრი ვალდებულია:

- ა) გამოცხადდეს სპორტული ტურის ჩატარების ადგილზე ერთი საათით ადრე;
- ბ) მოაწესრიგოს ტურის ჩატარების ადგილი და საგამოცდო უწყისები;
- გ) მკაფიოდ და გარკვევით მისცენ მითითებები და ინსტრუქციები სპორტულ ტურზე მოსულ აპლიკანტებს
- დ) თვალი ადევნონ ტურის ჩატარების გამჭირვალობას
- ე) დარღვევის შემთხვევაში მოახდინონ შესაბამისი რეაგირება;

მუხლი 7. აპლიკანტის უფლება-მოვალეობანი

1. აპლიკანტი ვალდებულია:

- ა. სპორტული ტურის ნორმატივების ჩაბარებისას დაიცვას წესები, ზუსტად შეასრულოს მიმღები კომისიის ინსტრუქციები და დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებებს;
- 2. კონკურსის მსვლელობისას პირს ეკრძალება:
 - ა. სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
 - ბ. კონკურსის ადგილის უნებართვოდ დატოვება;
- 3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, პირს მიეცემა გაფრთხილება, რაც ფორმდება ოქმით.
- 4. გაფრთხილების მიუხედავად, მოთხოვნების განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ფორმდება ოქმი პირის სპორტული ტურიდან მოხსნის შესახებ.

მუხლი 8. სპორტული ტურის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენა და განხილვა

- 1. სპორტული ტურის ფარგლებში წარმოშობილი დავები განიხილება საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის მიერ.
- 2. პირი უფლებამოსილია, შეიტანოს სააპელაციო განცხადება დირექტორის ბრძანებით შექმნილ საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის სახელზე სპორტული ტურის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში. საპრეტენზიო განაცხადი საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის სახელზე ბარდება კოლეჯის კანცელარიაში.
- 3. საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის მიერ საპრეტენზიო განაცხადების განხილვის დასრულების შემდეგ პირს ეცნობება ინფორმაცია სპორტული ტურის საბოლოო შედეგების შესახებ.
- 4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.
- 5. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვასთან დაკავშირებით ფორმდება წერილობით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. კოლეჯის სპორტული ტურის დებულებას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

2.წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ასევე ძალადაკარგულად გამოცხადება, შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ დირექტორის მიერ სათანადო ბრძანების გამოცემის გზით.

დანართი 1

ვაჟები					
რბენა 500მ.		ადგ. სიგრძეზე		ღერძზე აზიდვა	
/ წთ., წმ./		ხტომა/ სმ. /		/ რ-ბა /	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
1.30,0	25	230	25	25	25
1.31,0	24	229	24	24	24
1.32,0	23	228	23	23	23
1.33,0	22	227	22	22	22
1.34,0	21	226	21	21	21
1.35,0	20	225	20	20	20
1.37,0	19	224	19	19	19
1.39,0	18	223	18	18	18
1.41,0	17	222	17	17	17
1.43,0	16	221	16	16	16
1.45,0	15	220	15	15	15
1.47,0	14	219	14	14	14
1.49,0	13	218	13	13	13
1.51,0	12	217	12	12	12
1.53,0	11	216	11	11	11
1.55,0	10	215	10	10	10
1.56,0	9	214	9	9	9
1.57,0	8	213	8	8	8
1.58,0	7	212	7	7	7
1.59,0	6	211	6	6	6
2.00,0	5	210	5	5	5
2.01,0	2	209	2	2	2
2.02,0	3	208	3	3	3
2.03,0	2	207	2	2	2
2.04,0	1	206	1	1	1

ქალები					
რბენა 100 მ. /წმ./		ადგ. სიგრძეზე ხტომა/ სმ. /		მკლავების მოხრა გაშლა ტანვარჯიშულ სკამზე / რ-ბა /	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
14,5	25	190	25	25	25
14,6	24	189	24	24	24
14,7	23	188	23	23	23
14,8	22	187	22	22	22
14,9	21	186	21	21	21
15,0	20	185	20	20	20
15,1	19	184	19	19	19
15,2	18	183	18	18	18
15,3	17	182	17	17	17
15,4	16	181	16	16	16
15,5	15	180	15	15	15
15,6	14	179	14	14	14
15,7	13	178	13	13	13
15,8	12	177	12	12	12
15,9	11	176	11	11	11
16,0	10	175	10	10	10
16,1	9	174	9	9	9
16,2	8	173	8	8	8
16,3	7	172	7	7	7
16,4	6	171	6	6	6
16,5	5	170	5	5	5
16,6	2	169	2	2	2
16,7	3	168	3	3	3
16,8	2	167	2	2	2
16,9	1	166	1	1	1